



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000092749142717

№ ს-755

06 / დეკემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. შეიქმნას სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - მარინა ზურაბიშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ნინო ჭიჭინაძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) კომისიის მდივანი - სოფიო ბოჭორაძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მდივანი მონაწილეობას იღებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით);

დ) კომისიის წევრები:

დ.ა) ილია ციციშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;


დ.ბ) ლალი ასლანიშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, ჯანდაცვის განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისია (შემდგომში კომისია) უზრუნველყოფს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა განცხადებების განხილვას.

4. კომისიის სხდომები იმართება კვირაში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია რიგგარეშე სხდომის ჩატარებაც.
5. კომისია ხმათა უმრავლესობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე და ადგენს დაფინანსების ოდენობას.
6. კომისიის სხდომას კომისიის მოწვევით ესწრება და განხილვაში მონაწილეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი იმ მაჟორიტარი ოლქიდან, რომლის ტერიტორიაზეც არის რეგისტრირებული სოციალური დახმარების მიმღები. საკრებულოს დეპუტატის მოსაზრება წერილობით დაერთვის კომისიის სხდომის ოქმს.
7. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი



გიორგი კაპანაძე